ბრძანება

N 4
12/10/2018

4-01-4-201810121319

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 4 დეკემბრის №3170 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №1 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა/. ბრძანების პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 15 /თხუთმეტი/ პირით“.

ბ/. ბრძანების მეორე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა/. ირაკლი გიორგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. გოჩა გაბუნია - სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატის უფროსი;

გ/. ბექა ყურაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ/. ლევან კინწურაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი- კომისიის წევრი;

ე/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. ნინო იობიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ზ/. შუშანა ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ/. იოსებ ჩიჯავაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ი/. ვალერი ყენია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

კ/. ჯონდო არაბიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლ/. ზვიად ჯავახია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

მ/. გიორგი გიორგობიანი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ნ/. ზაზა ჩხიკვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ო/. ეკატერინე ბოჭორიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

პ/ თეა გოლეთიანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი სოხუმის“ პროექტების კოორდინატორი - კომისიის წევრი“.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. №11/ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე